

# შრომის უსაფრთხოების კუთხით გოლო პერიოდში განხორციელებული აღმინისტრაციული და საკანონმდებლო ცვლილებების შეფასება და რეკომენდაციები

---

ავტორები:


ჩაჩავა ალექსანდრე

დარჩია აკაკი

მელაძე მიხეილი

ელბაქიძე ნინო

ცაფულაშვილი ირაკლი



სექტორი 3 მიესალმება შრომის უსაფრთხოების სფეროში რეფორმის კუთხით ბოლო პერიოდში განხორციელებულ, როგორც ადმინისტრაციულ ისე საკანონმდებლო ცვლილებებს. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ დისკუსიის ფარგლებში მონაწილე ყველა მხარესთან (სახელმწიფო სტრუქტურები, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები) გასული წლის დეკემბერში განხორციელებულ სამუშაო შეხვედრებზე ჩვენს მიერ მომზადებული და წარმოდგენილი კონცეფციიდან „შრომის უსაფრთხოების დაცვის მოქმედი სისტემის ხარვეზები და მათი გადაწყვეტის გზები“ ნაწილობრივ გაზიარებულ იქნა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. კერძოდ:

## 1) შრომის უსაფრთხოების მონიტორინგისა და კონსტროლის მექანიზმი

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №80 დადგენილების „ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად შემოღებულ იქნა შემდეგი სახის განსაზღვრებები: განსაკუთრებით მაღალი რისკი, ძალიან მაღალი რისკი, მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის შემცველი სექტორები. ჩვენ მივესალმებით აღნიშნული შრომის უსაფრთხოების სპეციფიკის გათვალისწინებით დარგების დიფერენცირებას, თუმცა დადგენილების ზოგიერთი პუნქტი ჩვენი შეხედულებისამებრ ბუნდოვანია:

- ✓ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონკრეტულ სექტორზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით, შრომის ინსპექციის მიერ ობიექტებზე შემოწმება უნდა განხორციელდეს ამ მუხლით დადგენილი პერიოდულობით, ხოლო ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ სექტორში გაერთიანებული რეგისტრირებული ინსპექტირების ობიექტების საერთო ოდენობა 200 ერთეულზე მეტია, 5 წლის განმავლობაში შესამოწმებელი ობიექტების ოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 100 ობიექტი.

ვინაიდან ქვეყნის მასშტაბით სამშენებლო ობიექტების რაოდენობა რამოდენიმე ათასს შეადგენს, ამავე დროს მშენებლობის დარგი უბედური შემთხვევების მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, ხოლო დადგენილების თანახმად პერიოდულობით 5 წლის განმავლობაში მინიმუმ 100 ობიექტის შემოწმების შესახებ ჩანაწერის არსებობა ბუნდოვანია და სრულფასოვანი კონტროლის აღსრულების კუთხით ბაღებს კითხვის ნიშნებს.

- ✓ ამავე დადგენილების მე-7 მუხლის 1 და 2 პუნქტით განსაზღვრულია შესამოწმებელ ობიექტთა პერიოდულობა და შემოწმების სიხშირე, ხოლო მე-3 პუნქტით, „ შრომის ინსპექციის მიერ, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით შესაძლებელია, დადგინდეს შესამოწმებელ ობიექტთა შემცირებული ოდენობა, ასევე განისაზღვროს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ინსპექტირების განხორციელების სიხშირის ნაკლები რაოდენობა, გარდა ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სექტორებისა“ ასევე ბუნდოვანს ხდის დადგენილების ეფექტურ აღსრულებას.

2018 წლის მონაცემებით მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოს (დეპარტამენტის) მიერ სულ შემოწმებულ იქნა 465 ობიექტი (ყველა საფუძვლით) რაც შეადგენს ქვეყანაში არსებული მომქმედი ორგანიზაციების დაახლოებით 0,28 პროცენტს. მიუხედავად შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის, როგორც უფლებამოსილების, ადამიანური და ფინანსური რესურსების ზრდისა, სრულფასოვანი მონიტორინგის განხორციელება 164 900 მომქმედ ორგანიზაციის, (მიუხედავად მათი პრიორიტეტების მიხედვით დიფერენცირებისა) შეუძლებელია კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმის ძირეული ცვლილების გარეშე. კერძოდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სრულფასოვანი მონიტორინგისა და კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელია შეიქმნას ერთიანი ელექტრონული ბაზა (პროგრამა), რომელშიც მოხდება ყველა ობიექტიდან სავალდებულო პერიოდულობით-ელექტრონული ფორმით მიღებული ანგარიშების ასახვა/დამუშავება.

## 2) შრომის უსაფრთხოების უსახეპე ანგარიშებზე და ელექტრონული ბაზის შექმნა

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის NO1-15/6 ბრძანების „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ თანახმად განისაზღვრა რისკების შეფასებისა და მონიტორინგის დოკუმენტაციის წარმოების ფორმა (წერილობითი/ელექტრონული) და ვადები. დამსაქმებელი ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომი (საჯარო) გახადოს როგორც დასაქმებულებისათვის ასევე ზედამხედველი ორგანოსათვის.

- ✓ მიგვაჩნია რომ დამსაქმებლის მიერ მომზადებული რისკების შეფასებისა და მონიტორინგის დოკუმენტაცია ელექტრონული სახით სავალდებულო წესით შემოხსენებული პერიოდულობით უნდა მიწოდებოდეს მაკონტროლებელ ორგანოს რომელიც აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შექმნის ერთიან ელექტრონულ ბაზას (პროგრამას), რომელშიც სრულად აისახება ქვეყნის მასშტაბით მომქმედ ყველა ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების მხრივ არსებული ვითარება;
- ✓ რისკების შეფასების დოკუმენტისა და მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ფორმით პერიოდულობით მომზადებისა და წარდგენის ვალდებულების განსაზღვრა, სრულფასოვანს გახდის რისკების შეფასებასა და მონიტორინგის აღრიცხვის და კონტროლის პროცესს. აღნიშნულ პროცესში უნდა განისაზღვროს დამსაქმებელთან ერთად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პასუხისმგებლობა. მაგალითად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მხრიდან კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენისას, ხოლო დამსაქმებლის მხრიდან რისკის აღმოფხვრის უგულველყოფის შემთხვევაში, სპეციალისტს უნდა განესაზღვროს

ვალდებულება დაუყოვნებლივ მიმართოს სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოს, რათა მან განახორციელოს კანონის შესაბამისი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.

### 3) შრომის უსაფრთხოების საეციალისტის კვალიფიკაციის ამაღლება

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 ოქტომბრის N01-67/6 „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01-25/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბრძანებით გაიზარდა აკრედიტირებული პროგრამის მოცულობა 130 საათიდან 235 საათამდე. შრომის უსაფრთხოების მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელის საჯარო განცხადების თანახმად ყველა შრომის უსაფრთხოების ინსპექტორი (საჯარო მოხელე) 6 თვის განმავლობაში გაივლის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. მისასაღმებელია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებისა და ინსპექტორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სრულად ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს .

- ✓ ჩვენი მოსაზრებით რომელიც ასახულია სექტორი 3-ის მიერ მომზადებულ კონცეფციაში (იხ.დანართი), მაღალი რისკის შემცველ ობიექტებში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი უნდა იყოს კონკრეტული დარგის სპეციალისტი უმაღლესი განათლებით. მხოლოდ ზემოაღნიშნული სპეციალისტების გადამზადებით არის შესაძლებელი შრომის უსაფრთხოების მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მიღება. კერძოდ, თუ სპეციალისტს არ გააჩნია ფუნდამენტალური დარგობრივი განათლება მაღალი რისკის შემცველ ობიექტებში ის ვერ შექმნის სრულფასოვან რისკების შეფასების მექანიზმს და ვერ მოახდენს ინციდენტების პრევენციას რაც პირდაპირ აისახება დასაქმებულთა და სამუშაო პროცესში სიცოცხლესა და ჯანმრთელობის დაცვის ხარისხზე.
- ✓ ჩვენი ხედვით საკანონმდებლო დონეზე უნდა განხორციელდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა:

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პასუხისმგებლობა ძალზედ დაბალია, კერძოდ დღეს არსებული კანონმდებლობის თანახმად შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ დამსაქმებელს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის როგორც ქვერგოლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა და პასუხისმგებლობების განაწილება დამსაქმებელსა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს შორის (როგორც სამუშაო პროცესში

რისკების შემფასებლისა და შრომის უსაფრთხოების კონტროლზე დამსაქმებელთან ერთად პასუხისმგებელი პირის);

## 4) ერთიანი სრულასოვანი ნორმატიული ბაზის შექმნის აუცილებლობა

---

საქართველოს მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციების სახეები და რაოდენობა ასე გამოიყურება:

- ფუნდამენტური კონვენციები: 8 - დან 8
- კონვენციები (პრიორიტეტი): 4-დან 2,
- ტექნიკური კონვენციები: 178–დან 8

საქართველოს მიერ 190 კონვენციიდან რატიფიცირებულია მხოლოდ 18. ასევე საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებულია და მთავრობის დადგენილებებით დამტკიცებულია მხოლოდ 254 ტექნიკური სტანდარტი. მაგალითისთვის სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (ISO) რეგისტრირებული აქვს საერთაშორისოდ აღიარებული 24000-მდე სტანდარტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დამტკიცებული ნორმატიული აქტები მოიცავს საერთაშორისოდ (ILO და ISO) აღიარებულ სტანდარტების მხოლოდ მცირე ნაწილს. ამოიტომ აუცილებელია რაც შეიძლება მოკლე ვადებში აღნიშნული მოთხოვნები სრულყოფილად აისახოს და კანონმდებლობით განისაზღვროს (დამტკიცდეს) შრომის უსაფრთხოების კონკრეტული სტანდარტები და ნორმები. რაც ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის სრულფასოვნად განხორციელებას უზრუნველყოფს.

## 5) დასაქმებულთა პროფესიული განათლების აუცილებლობა

---

შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცესში მონაწილე მხარეებიდან (სახელმწიფო მაკონტროლებელი, დასაქმებული და დამსაქმებელი) მთავარი რისკ ფაქტორის მატარებელი არის დასაქმებული, შესაბამისად ჩვენ მიგვაჩნია, რომ მაღალი რისკის შემცველ დარგებში დასაქმებულ ტექნიკურ პერსონალს (მუშა მოსამსახურეებს) სავალდებულო წესით (კანონმდებლობით განისაზღვროს) უნდა გააჩნდეს კონკრეტული საქმიანობის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული განათლების სერტიფიკატი. აღნიშნული რეგულაციების ამოქმედება მკვეთრად შეამცირებს ადამიანური ფაქტორით

გამონწვევულ სხეულის დაზიანებებსა და უბედურ შემთხვევებს სანარმოო პროცესში.

## 6) ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების აუსილგაელი ხარისხის კონტროლი

---

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში განხორციელებული ცვლილების (საქართველოს კანონი N 5690-რს 2019 წლის 27 დეკემბერის) საფუძველზე შეიქმნა სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო რომლის მიზანია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან შეუსაბამისობის ან/და საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის აგრეთვე აღკვეთის გზით ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა“ .

**იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება ბაზარზე არსებული ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების პროდუქციის ხარისხის-შესაბამისობის დეტალურ შემოწმება/კონტროლი ვიანიდან, ზემოაღნიშნული პროდუქციის ხარისხზე პირდაპირ არის დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.**

უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებები წინგაგადგმული ნაბიჯია ქვეყანაში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისაკენ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არის რიგი საკითხები რომლებიც დარეგულირებასა და სრულყოფას საჭიროებს. წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს განხორციელებული რეფორმების როგორც შეფასებით ნაწილს, აგრეთვე ჩვენს რეკომენდაციებს/ხედვას, რომლის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და საქართველოს კანონმდებლობის და კანონის აღსრულების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას.

---

